საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №21
2025 წლის 5 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №30 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 1 აპრილის №30 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 01/04/2019, 040030000.22.034.016857) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-6 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

2. მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 17

I, II, III და IV მთავარი სამმართველოს სპეციალური დანიშნულების დანაყოფები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველო, იმერეთის სამმართველო, კახეთის სამმართველო და სამცხე-ჯავახეთის სამმართველო, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოფენ:

ა) დამოუკიდებლად ან სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან/ ტერიტორიულ ორგანოებთან ერთად მაღალი რისკის ღონისძიებების ჩატარების დროს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფას;

ბ) შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, საზოგადოებრივი წესრიგის აღდგენის მიზნით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების მიღებას;

გ) საჭიროების შემთხვევაში ორგანიზებული/შეიარაღებული დაჯგუფებების დაკავებას ან/და დანაშაულის აღკვეთის ღონისძიებებში მონაწილეობას;

დ) საგანგებო სიტუაციის დროს სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობას;

ე) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან/ტერიტორიულ ორგანოებთან ან/და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად მასობრივი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას/ლოკალიზაციას;

ვ) სამინისტროს დანაყოფებთან ერთად ან დამოუკიდებლად მძევლად ხელში აყვანილ პირთა გათავისუფლების ღონისძიებებში მონაწილეობას;

ზ) ოპერატიულ-სამძებრო, ასევე, სამართალდამრღვევთა, დაზარალებულთა ან სხვაგვარად გაუჩინარებულ პირთა ძებნის ან/და ძებნისა და გადარჩენის ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას;

თ) საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს საბრძოლო ძალით უზრუნველყოფას;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამნაშავე ჯგუფთან მოლაპარაკების წარმოებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებასა და გამოყენებას;

კ) ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას;

ლ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, დადგენილი სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფაში მონაწილეობას;

მ) დეპარტამენტის შესაბამისი ობიექტების შიდა პერიმეტრის დაცვასა და საკონტროლო-გამშვები პუნქტის ფუნქციონირებას;

ნ) დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის ნავთობსადენი) და მისი ინფრასტრუქტურული ობიექტების დაცვას და უსაფრთხოებას;

ო) საბრძოლო მომზადების მიზნით სწავლების ჩატარებას;

პ) მოსამსახურეთა საბრძოლო მომზადების მიზნით შესაბამისი პროგრამების შემუშავებასა და ცალკეული სასწავლო გეგმების მომზადებას;

ჟ) თეორიული და საველე-პრაქტიკული სწავლებების ჩატარებას;

რ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მომზადებასა და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას;

ს) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი **ვახტანგ გომელაური**